სურსათის უვნებლობა და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები

Food Safety and Agricultural Cooperatives in Georgia

ელისო ცხადაია

care

The Cooperative Fund

სურსათის უვნებლობის მოთხოვნები სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისთვის

- სურსათის უნებლობის მოთხოვნები
- HACCP სისტემა
- გამოწვევები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სურსათის უვნებლობის სტანდარტის დანერგვის პროცესში
- სახელმწიფო მხარდაჭერა
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ფონდის გამოცდილების გაზიარება

The Cooperative Fund

სურსათის უვნებლობა და ხარისხი

სასურსათო პროდუქტის მახასიათებლები:

სურსათის უვნებლობა-მომხმარებლისათვის ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქტის მიწოდება, რომელიც საწარმოო პროცესში HACCP-ის სისტემით კონტროლდება

სურსათის ხარისხი-რომლესაც თავად მომხმარებელი განსაზღვრავს (გემო, სუნი, ფერი...), არ კონტროლდება HACCP-ის სისტემით.

სურსათის უვნებლობა არის მასში ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტების ის მინიმალური დონე, რომელიც არ არის საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისათვის

The Cooperative Fund

სურსათის უვნებლობა და ხარისხი

HACCP

HAZARD-საფრთხის

ANALYSIS-ანალიზის

CRITICAL-კრიტიკული

CONTROL-საკონტროლო

POINTS-წერტილები

↓

წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპზე განისაზღვროს და შეფასდეს პოტენციური საფრთხეები

განისაზღვროს დადგენილი საფრთხეების კონტროლისა და პრევენციის ქმედითი ზომები

უზრუნველყოფილ იქნეს პრევენციული ღონისძიებების ეფექტური განხორციელება

The Cooperative Fund

მოთხოვნები სტანდარტებთან დაკავშირებით

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №173
2010 წლის 25 ივნისი

ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და
„სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“
დამტკიცების თაობაზე

The Cooperative Fund

სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესი

წესი ადგენს :
ზოგად ჰიგიენურ მოთხოვნებს სურსათის მიმართ და ვრცელდება სურსათის წარმოების, მათ შორის, პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

- ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები სავალდებულოა ბიზნესოპერატორებისათვის (შემდგომში – ბიზნესოპერატორი), რომლებიც ახორციელებენ სურსათის წარმოებას, მათ შორის, პირველად წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას.

- შესაძლებელია, ბიზნესოპერატორის მიერ, რომელიც ახორციელებს სურსათის წარმოებას, მათ შორის, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, გამოყენებულ იქნეს ამ წესისაგან განსხვავებული წესები იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებული წესებით ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველყოფის მდგომარეობა დასაბუთებული იქნება ბიზნესოპერატორის მიერ.
(ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან)

- გამონაკლისები

The Cooperative Fund

სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი

ბიზნესოპერატორს, რომელიც ახორციელებს სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას (გარდა პირველადი წარმოების ან ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებისა), დანერგილი უნდა ჰქონდეს სურსათის
უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP)
სისტემის პრინციპების შესაბამისად.

The Cooperative Fund

სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი

ეს წესი ვრცელდება:

- ბიზნესოპერატორზე, რომელსაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და რომელიც ახორციელებს პირველადი პროდუქტის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისთვის ან იმ საცალო ვაჭრობის პუნქტისთვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს;

- ბიზნესოპერატორზე, რომელიც იყენებს ტრადიციულ მეთოდებს;

- იმ ბიზნესოპერატორზე, რომელიც ახორციელებს სურსათის არაქარხნული წესით წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას, ასევე პირველად წარმოებას, მაღალმთიან რეგიონში;

- ბიზნესოპერატორზე, თუ იგი ახორციელებს გეოგრაფიული აღნიშვნით და/ან ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული სურსათის წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას, ასევე პირველად წარმოებას.

(ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან)

The Cooperative Fund

HACCP -ის სისტემის დანერგვის პროცედურები

1.საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა
2.RDA-ში წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება:

- კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;
- ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა/ამონაწერი ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან შესაბამისი მოცულობის სესხის/ლიზინგის დამტკიცების შესახებ) ან/და წერილი დონორი ორგანიზაციისგან დამტკიცებული თანხის ოდენობის შესახებ.
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არ ქონის შეახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი საქონლის/აღჭურვილობის/მომსახურეობის ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ.
- სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

3.ხელშეკრულება ARD-სთან-გეგმა გრაფიკის შედგენა
4.საწარმოს წინასწარი აუდიტი
5. გეპ ანალიზის მომზადება
6. ტრენინგები
7.დოკუმენტაციის მომზადება-პალალელურად კოოპერატივი ასრულებს მიცემულ რეკომენდაციებს.
8.სერთიფიცირება

- ცხოველური წარმოშობის საკვები-სეს
- არაცხოველური წარმოშობის საკვები-საერთაშორისო მასერთიფიცირებელი

The Cooperative Fund

HACCP -ის სისტემის დანერგვის სირთულეები

- მენეჯმენტის და თანამშრომლების მონდომება- სისტემის დანერგვის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილი;
- თანამშრომელთა რეგულარული ტრენინგი;
- HACCP-ის გეგმების შეცვლა პროდუქტის ან საწარმოო პროცესის ცვლილებასთან ერთად;
- სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო და ფინანსური ხელშეწყობა;
- ინსპექტირების უფლებამოსილი პირის კომპეტენტურობა;
- სასურსათო ჯაჭვში ჩბმული მეწარმეების გათვითცნობიერება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

The Cooperative Fund

სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამები

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 აპრილის დადგენილება №263- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების
სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

The Cooperative Fund

სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამები

პროგრამის ამოცანაა

სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების/პროექტების ფარგლებში დაფინანსებული/დასაფინანსებელი ბენეფიციარების მიერ წარმოებული/საწარმოებელი პროდუქციის ხარისხის, უვნებლობის, მიკვლევადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით.

1. პროგრამის განმახორციელებელია სააგენტო.
2. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

The Cooperative Fund

სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამები

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვისა და სერტიფიცირების, მათ შორის, ბიოსერტიფიცირების, ასევე იმ მომსახურების შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებლის ან/და გადამამუშავებელი ბიზნესოპერატორის აღიარების მინიჭებისათვის საჭირო მომსახურებასთან, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25 000 ლარისა, ხოლო, თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარისა.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ ბრენდირებისა და შეფუთვის დიზაინის შექმნის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25 000, ლარისა, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არა უმეტეს 15 000 ლარისა.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ აღჭურვილობის შეძენის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა.

The Cooperative Fund

სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამები და ფონდი

4 რძის გადამუშვება (გურია, ლეჩხუმი)
3 თხილის გადამუშვება)გურია, სამეგრელო)
5 თაფლის წარმოება (სამეგრელო, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი)
1 ჩაის საწარმო (გურია)
2 ხილის შრობა (ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი)

The Cooperative Fund

შესაბამისობის აქტები

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის დადგენილება №80 – ვებგვერდი, 19.02.2018წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო
შესაბამისობის შეფასების აქტი
(ივსება სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

შესაბამისობის შეფასების აქტი (ივსება პირველადი წარმოების ობიექტების ინსპექტირებისას ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

შესაბამისობის შეფასების აქტი
(ივსება მოძრავი და/ან დროებითი შენობის მიმართ ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

შესაბამისობის შეფასების აქტი
(ივსება სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

შესაბამისობის შეფასების აქტი
(ივსება პირველადი წარმოების ობიექტების ინსპექტირებისას ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

ნიმუშის აღების აქტი

The Cooperative Fund

კანონები

•საქართველოს კანონი ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;

•საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის დადგენილება №90 ,,ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“;

•საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის დადგენილება №152 ,,რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

•საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტების ,,სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და ,,სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე;

•საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილება ,,თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“;

•საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილება ,,თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“;

•საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბერის დადგენილება №581 ,,სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

The Cooperative Fund

კანონები

•საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბერის დადგენილება №639 „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;

•საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №22 ტექნიკური რეგლამენტი ,,ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“;

•საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის დადგენილება №195 ,,ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზის და გამოკვლევის მეთოდების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;

•საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბერი დადგენილება №567 ,,სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;

•საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის დადგენილება №301 ტექნიკური რეგლამენტი ,,მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“;

The Cooperative Fund

კანონები

•საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №72 ტექნიკური რეგლამენტი ,,სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ” ;

•საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის დადგენილება №472 ტექნიკური რეგლამენტი ,,პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ” ;

•საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის დადგენილება №722 ,,ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“;

•საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №671 ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

•საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №58 ,,სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ”;

• საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილება №198 „ბიოწარმოების შესახებ“;

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანება ,,სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“;

The Cooperative Fund